საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დვალიშვილი შალვა თეოფილეს ძე

დვალიშვილი შალვა თეოფილეს ძე (1903, სოფ. ზედა ბზვანი, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 31. I. 1943, ქ. უხტა, ახლანდ. რუს. ფედერაციის კომის ავტონ. რესპ.), პოლიტიკური მოღვაწე, 1921–24 საქართვ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის აქტ. მონაწილე.

1921-იდან საქართვ. ს.-დ. (მენშევიკური) პარტიის ვანის რაიონული იატაკქვეშა ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი. აქტიურად მონაწილეობდა საქართვ. 1924 აგვისტოს აჯანყებაში, რ-ის ჩახშობის შემდეგ, 1924–34 ეწეოდა არალეგალურ *პოლიტ.* საქმიანობას. 1934 დაპატიმრებულ იქნა საქ. სსრ შინსახკომის მიერ და აქტ. ანტისაბჭ. მოღვაწეობისათვის მიესაჯა 10 წლით გადასახლება.

1943 წ. 31 იანვ. გადასახლების ადგილზე დახვრიტეს ადმინისტრ. წესით. დაკრძალვის ადგილი უცნობია.

ლიტ.: დ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ო., ქართული ეროვნული სულის უკვდავება, ქუთ., 2005.

ლ. ურუშაძე